დიალოგური კითხვის გავლენა კითხვის დროს სკოლამდელი ასაკის ბავშვებსა და აღმზრდელებს შორის ინტერაქციულ პროცესზე.

ფიდან ასკეროვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ენისა და მეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ფიდან ასკეროვა, 2023 წელი.

აბსტრაქტი

ეს კვლევა მიზნად ისახავს ხაზგასმით აღვნიშნოთ წიგნების კითხვის მნიშვნელობა ბავშვებისთვის და გამოვიკვლიოთ, თუ როგორ მოქმედებს ის მათ სოციალურ ინტერაქციაზე და საერთო განვითარებაზე. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს კითხვის ღირებულებისა და ეფექტური ტექნიკის გამოყენების გავლენის ღრმა გაგებას, აღმზრდელებისა და მშობლებისთვის წიგნების მნიშვნელობის დემონსტრირებას. კვლევის პროცესი მოიცავდა შერჩეულ საბავშვო ბაღში ექსპერიმენტული სახის კვლევის ჩატარებას, სადაც იქნებოდა ორი ჯგუფი ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფი.

კვლევის დასაწყებად, ორივე ჯგუფის მშობლებისგან მიღებული იქნა თანხმობა ვიდეო გადაღებაზე და მონაწილეობაზე, რასაც მოჰყვა ორივე ჯგუფის მშობლებისა და აღმზრდელ-პედაგოგის კითხვარების შევსება. ექვსკვირიანი პერიოდის განმავლობაში იკითხებოდა შერჩეული წიგნების სერია ტოპო ტიპის თავგადასავლებით: „ტოპო-ტიპი გაბრაზებულია“, „ტოპო ტიპი დაიკოს უვლის“, „ტოპო-ტიპი ექიმთან არ მიდის“, "ტოპო-ტიპი შიშს ამარცხებს", ეს წიგნები შეირჩა მათი მიმზიდველი ილუსტრაციებისთვის, რაც ზრდის ბავშვების ინტერესს და მონაწილეობას.

კითხვის სესიებზე გამოყენებული იყო წიგნის დიალოგური კითხვის მეთოდი, რომელსაც ესწრებოდა ჯგუფის აღმზრდელ-პედაგოგი. გაკეთდა ვიდეოჩანაწერები ბავშვების ინტერაქციული მონაწილეობისა და კითხვის პროცესში გამოყენებული ტექნიკების აღსაბეჭდად. იმავდროულად, საკონტროლო ჯგუფი მიჰყვებოდა რეგულარულ რუტინას ექვსი კვირის განმავლობაში, ატარებდა წიგნების კითხვის ჩვეულებრივ საათს. კითხვის სესიებს ესწრებოდა 4-5 წლის 10-15 ბავშვი მშობლიურ ენაზე აზერბაიჯანულ ენაზე და თითო სესია დაახლოებით 10-12 წუთს გრძელდებოდა.

ექვსკვირიანი პერიოდის შემდეგ ჩატარდა შემდგომი კვლევა ინტერვენციის შედეგად მიღებული ნებისმიერი ცვლილების შესაფასებლად. კითხვარებიდან, ვიდეოჩანაწერებიდან და გამოკითხვებიდან შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა დიალოგური კითხვის გავლენის შესაფასებლად აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის ინტერაქციის, ასევე ბავშვების საერთო განვითარებაზე.

ამ კვლევის მიგნებები მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ადრეული განათლების შესახებ არსებულ კვლევებს და მიაწოდოს მტკიცებულება დიალოგური კითხვის სარგებელის შესახებ აღმზრდელ-პედაგოგებსა და ბავშვებს შორის დადებითი ინტერაქციის ხელშეწყობაში. შედეგები აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კითხვის ეფექტური ტექნიკის გამოყენება, როგორიცაა დიალოგური კითხვა, ბავშვების ჩართულობის, გაგების, მოტივაციის ამაღლებას წიგნის კითხვის დროს. დიალოგური კითხვის პოზიტიური გავლენის ხაზგასმით, ეს კვლევა ცდილობს წაახალისოს აღმზრდელ/პედაგოგები და მშობლები, პრიორიტეტი მიანიჭონ კითხვას, როგორც ბავშვების სოციალური უნარ-ჩვევების, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების, მთლიანობაში ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას და კითხვის პროცესში სწორად შერჩეული ტექნიკის გამოყენების მნიშვნელობას.

Abstract

This study aims to highlight the importance of reading books for children and investigate how it affects their social interaction and overall development. The purpose of the study is to promote a deeper understanding of the value of reading and the impact of using effective techniques, demonstrating the importance of books for educators and parents. The research process included conducting an experimental type of research in a selected kindergarten, where there would be two groups, an experimental group and a control group.

To begin the study, consent was obtained from the parents of both groups to be videotaped and participate, followed by the completion of parent and teacher questionnaires from both groups. During the six-week period, a series of selected books featuring Topo-tip's adventures were read: "Topo-type is angry", "Topo-type takes care of his sister ", "Topo-type does not go to the doctor", "Topo-type conquers fear", these books were selected for their attractive illustrations, which increases children's interest and participation.

In the reading sessions, the method of dialogical reading of the book was used, attended by the educator-pedagogue of the group. Video recordings were made to capture the children's interactive participation and techniques used in the reading process. Meanwhile, the control group followed a regular routine for six weeks, spending the usual hour reading books. The reading sessions were attended by 10-15, 4-5 year old children in their native language Azerbaijan and each session lasted approximately 10-12 minutes.

After the six-week period, a follow-up study was conducted to assess any changes resulting from the intervention. Data collected from questionnaires, videotapes, and surveys were analyzed to assess the impact of dialogic reading on the interaction between caregivers and children, as well as the overall development of children.

The findings of this study are intended to contribute to existing research in early childhood education and provide evidence of the benefits of dialogic reading in promoting positive interactions between caregivers/educators and children. The results show how important it is to use effective reading techniques, such as dialogic reading, to increase children's engagement, understanding, and motivation while reading a book. By highlighting the positive impact of dialogic reading, this study seeks to encourage educators and parents to prioritize reading as a means of promoting children's social skills, communication, language and speech, holistic development of the child as a whole, and the importance of using the right reading techniques.